



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კომპიუტერული მეცნიერება, სამაგისტრო პროგრამა

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2022 წლის 2 აგვისტო

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2022 წლის 5 სექტემბერი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული მეცნიერება Computer Science
უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი / Master of Computer Science
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი / Software and Applications Development and Analysis (0613.1.2 კომპიუტერული მეცნიერება / Computer Science)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №61, 7.09.2018

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩი შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა მესხი შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „კომპიუტერული მეცნიერება“ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს, ხოლო 2021 წელს გადავიდა ავტორიზაციის რეჟიმში, რამაც უარყოფითად იმოქმედა პროგრამაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობაზე.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამის შინაარსი შესაბამისობაში მოვიდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორში დეტალური სფეროს „0613.1.2 კომპიუტერული მეცნიერება“ აღმწერთან, ასევე, შეიცვალა სტუდენტების შეფასების სისტემა და სხვ.

პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი);
- მოცულობა: 120 ECTS-ის კრედიტი;
- სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომი);
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 100 კრედიტი, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 20 კრედიტი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) განხორციელდა 2022 წლის 2 აგვისტოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 8 22 0000830125, 21/07/2022) საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ჯგუფის წევრები: მაქსიმ იავიჩი (კავკასიის უნივერსიტეტი), თამარ

გვიანიშვილი (ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი) და შალვა მესხი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი). ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მიხეილ რუხაია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე და მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. მოეწყო გასაუბრება სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეუქმნეს კომფორტული სამუშაო გარემო და უზრუნველყვეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის დროული მიწოდება.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“:

I სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტი 1.1 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კომპონენტი 1.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

II სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 2.2, 2.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, კომპონენტები 2.1, 2.4, 2.5, 2.6 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

III სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 3.1, 3.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

IV სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 4.1, 4.2, 4.3, 4.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

V სტანდარტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (კომპონენტები 5.1, 5.2, 5.3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

- რეკომენდაციები

1. დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან.
2. საგნებში „მათემატიკური მოდელირება“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ დაემატოს კალკულუსისა და წრფივი ალგებრის ის თემები, რომლებიც აუცილებელია კურსის ათვისებისთვის, ან შესაბამისი თემები დაემატოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ დანიშნულ მისაღებ გამოცდაზე.
3. არჩევითი საგანი „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ გახდეს სავალდებულო, ან დაკორექტირდეს პროგრამის ბოლო შედეგი.
4. პროგრამას დაემატოს თეორიული კომპიუტერული მეცნიერების კურსი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული და გამოთვლითი ლოგიკის, გამოთვლადობის და სირთულის თეორიების, და სხვა საკითხებს.

5. პროგრამას დაემატოს საგნები „მანქანური სწავლება“ და „კომპილატორები“
6. დაკორექტირდეს საგნის „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ სილაბუსი, სადაც ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან ერთად, ასევე აუცილებელია დაიფაროს ინფორმაციის მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის თემები. Windows Defender-ის თემატიკა გაერთაინდეს ანტივირუსულ საშუალებებთან.
7. დაკორექტირდეს საგნის „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ სილაბუსი და მასში შევიდეს დარგის სხვადასხვა აქტუალური საკითხი.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს კვალიფიკაციის მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ - ახლა ტარდება 2 წლის თავზე
2. პროგრამაში ჩაერთოს უფრო მეტი დარგის პრაქტიკოსი, ახალგაზრდა სპეციალისტი, განსაკუთრებით პრაქტიკულ საგნებში, რომლებიც სტუდენტებს გააცნობენ რეალურ და ახალ-ახალ პრაქტიკულ გამოწვევებს.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების პოზიციას გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესახებ და მისასაღმებელია, რომ მათ გაიზიარეს ექსპერტთა მოსაზრებები და უკვე დაიწყეს შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ვაკანსიების ერთიანი პორტალი (<https://job.atstu.edu.ge/>), რომელიც როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუდან გაირკვა მათთვის მოსახერხებელი და მარტივი პლატფორმაა.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ „კომპიუტერული მეცნიერება“ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს. მას შემდეგ პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- კურსები „ფუნდამენტური ალგორითმები 1“ და „ფუნდამენტური ალგორითმები 2“ გაერთიანდა და დაერქვა „ფუნდამენტური ალგორითმები“
- კურსს „მათემატიკური მოდელირება“ შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო
- კურსი „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“ შეიცვალა კურსით „პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა“
- აკრედიტაციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად საბაკალავრო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გამო (კურსები „ვებ დაპროგრამება 1 (JavaScript)“ და „ვებ დაპროგრამება 2 (PHP)“ გადატანილი იქნა საბაკალავრო პროგრამის ახალ კონცენტრაციაში „ვებ ტექნოლოგიები“) სამაგისტრო პროგრამაში დაემატა ორი ახალი სავალდებულო კურსი: „NET პლატფორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი“ და „მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდები“
- არჩევითი სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ შეიცვალა კურსით „კომპიუტერული სისტემების წარმადობა და ფუნქციონალური საიმედოობა“
- კურსები „საოპერაციო სისტემები“ და „ინფორმაციის თეორია“ გახდა სავალდებულო

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p><b>1.1 პროგრამის მიზნები</b></p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ მიზანია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი განათლება კომპიუტერული მეცნიერების სფეროში, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა.</li> <li>2. განუვითაროს კურსდამთავრებულებს პროფესიული და ტრანსფერული უნარები, რის საფუძველზეც ისინი იქნებიან დასაქმების ბაზარზე, მაღალკონკურენტუნარიანი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.</li> <li>3. მისცეს კურსდამთავრებულს თანამედროვე და სიღრმისეული ცოდნა, რითაც ისინი შეძლებენ შეეჭიდონ, გაანალიზონ და ადეკვატურად უპასუხონ დარგის თანამედროვე გამოწვევებს.</li> <li>4. გამოუმუშაოს კურსდამთავრებულებს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარები, რის შედეგადაც საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით შეძლებენ წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</li> </ol> <p>აღნიშნული მიზნები ძალიან ზოგადი ხასიათისაა და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სამაგისტრო პროგრამისათვის (მათ შორის არატექნიკური დარგებისათვის). შესაბამისად, რეკომენდირებულია მიზნების დაკონკრეტება და მისი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის შედეგებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დაკონკრეტდეს პროგრამის მიზნები და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან.</li> </ul>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>



შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი  
პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 11 პუნქტის სახით, რომელიც განაწილებულია სამ ჯგუფად და თანხვედრაშია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

ცოდნა და გაცნობიერება - წარმოდგენილია 4 პუნქტით -

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- განსაზღვრავს კომპიუტერული მეცნიერების ძირითად კონცეფციებს, პროექტებსა და ამოცანებს და აფასებს მათი განვითარების ძირითად ტენდენციებს.
- ჩამოთვლის მონაცემთა სტანდარტულ სტრუქტურებს და ირჩევს ინფორმაციის დამუშავების ფუნდამენტურ მეთოდებს.
- გამოყოფს ალგორითმების კომპიუტერზე რეალიზაციის თანამედროვე პროგრამულ საშუალებებსა და ხსნის მათ შესაძლებლობებს.
- აღწერს მონაცემთა ბაზების კონსტრუირებისა და ინტელექტუალური სისტემების აგების ძირითად პრინციპებს.

უნარები - წარმოდგენილია 4 პუნქტით -

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- ეფექტურად ახორციელებს კომპიუტერული მეცნიერების სფეროსთან დაკავშირებულ სამეცნიერო, თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს.
- შეიმუშავებს რთული და კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტის ეფექტურ ალგორითმებსა და პროგრამებს, ახდენს მათ რეალიზაციასა და მიღებული შედეგების პროფესიულ ანალიზს.
- აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.
- ახდენს კვლევის შედეგების წარდგენას სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის ნორმების გათვალისწინებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - წარმოდგენილია 3 პუნქტით

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და წარმატებით ახორციელებს მათ;
- კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას, გეგმავს საკუთარ სწავლას და ვითარდება სწრაფი ტემპით მზარდი კომპიუტერული ტექნოლოგიების კვალდაკვალ;
- იღებს გადაწყვეტილებებს კომპიუტერული ტექნოლოგიების იურიდიული, ეთიკური და უსაფრთხოების პრინციპების საფუძველზე.

პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურია და უმეტესწილად მიღწევადია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა დაინტერესებული მხარე. პროგრამაში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, სადაც განსაზღვრულია თვითოეული კურსის სწავლის შედეგთან შესაბამისობა. ამ რუკების მიხედვით, ბოლო შედეგი „იღებს გადაწყვეტილებებს კომპიუტერული ტექნოლოგიების იურიდიული, ეთიკური და უსაფრთხოების პრინციპების საფუძველზე“ მიიღწევა კურსებით „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“, „სემინარი კომპიუტერულ მეცნიერებაში“ და „სამაგისტრო ნაშრომი“, თუმცა ვთვლით, რომ „უსაფრთხოების პრინციპების“ მისაღწევად აგრეთვე აუცილებელია კურსი „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულად დადგენილია სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60%-ის მიერ სხვადასხვა სახის აქტივობით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 75%-ის მიღწევა, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი აქტივობით რომელ შედეგზე გასვლა ფასდება.

სამიზნე ნიშნულების მონიტორინგი ხორციელდება 2 წლის შედეგების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკის ანალიზი;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		



## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული მეცნიერება“ მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა წარაუდგინონ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდები, და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: კომპიუტერულ მეცნიერებაში (კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გამოცდა სპეციალობაში) და უცხო ენაში. ასევე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში. დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;</li> <li>○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.</li> </ul> <p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p> <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>
--

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამიად. მასში გათვალისწინებულია უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და წარმოდგენილია იმ პროგრამებთან შედარება, რომლის ანალოგიურადაც მოხდა „კომპიუტერული მეცნიერება“ სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირება.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს.

პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულადაა დალაგებული, კურსები დეტალურად არის აღწერილი, გათვალისწინებულია სათანადო ლაბორატორიული სწავლება;

პროგრამის შინაარსი მეტწილად ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, თუმცა, ვინაიდან პროგრამაზე მიიღება სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტებიდან, საგნებში „მათემატიკური მოდელირება“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ საჭიროა დაემატოს კალკულუსისა და წრფივი ალგებრის ის თემები, რომლებიც აუცილებელია კურსის ათვისებისთვის, ან შესაბამისი თემები დაემატოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ დანიშნულ მისაღებ გამოცდაზე.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია ძირითად მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუკი გათვალისწინებული იქნება შემდეგი ცვლილებები:

1. არჩევითი საგანი „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ უნდა გახდეს სავალდებულო, ან დაკორექტირდეს პროგრამის ბოლო შედეგი.
2. პროგრამას უნდა დაემატოს თეორიული კომპიუტერული მეცნიერების კურსი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული და გამოთვლითი ლოგიკის, გამოთვლადობის და სირთულის თეორიების, და სხვა საკითხებს.
3. ასევე, პროგრამის სრულყოფის და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა დაემატოს ისეთი საგნები, როგორცაა მაგ. „მანქანური სწავლება“ და „კომპილატორები“.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული ლექტორები, კურსდამთავრებული, სტუდენტი და დამსაქმებელი.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> <li>• კურიკულუმის რუკა;</li> <li>• ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;</li> <li>• სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგნებში „მათემატიკური მოდელირება“ და „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ დაემატოს კალკულუსისა და წრფივი ალგებრის ის თემები, რომლებიც აუცილებელია კურსის ათვისებისთვის, ან შესაბამისი თემები დაემატოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ დანიშნულ მისაღებ გამოცდაზე.</li> <li>○ არჩევითი საგანი „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ გახდეს სავალდებულო, ან დაკორექტირდეს პროგრამის ბოლო შედეგი.</li> <li>○ პროგრამას დაემატოს თეორიული კომპიუტერული მეცნიერების კურსი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული და გამოთვლითი ლოგიკის, გამოთვლადობის და სირთულის თეორიების, და სხვა საკითხებს.</li> <li>○ პროგრამას დაემატოს საგნები „მანქანური სწავლება“ და „კომპილატორები“.</li> </ul>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს;</p> <p>ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთან დაცულია სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა, სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები.</p> <p>თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს, გარდა კურსისა „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“. ამ საგნის სილაბუსში</p>

<p>გათვალისწინებულია ინფორმაციის კონფიდენციალურობა, სადაც, ასევე აუცილებელია დაიფაროს ინფორმაციის მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის თემები. ამავე საგნის ერთერთი თემა ანტივირუსული საშუალებები, სადაც რამდენიმე ლექციის შემდეგ ცალკეა გამოყოფილი Windows Defender-ი, რომელიც ასევე წარმოადგენს ანტივირუსს. აუცილებლობას არ წარმოადგენს ამ საკითხის ცალკე გამოყოფა, ან ეს თემატიკა უნდა იქნას გავლილი ანტივირუსულ საშუალებებთან ერთად.</p> <p>სილაბუსებში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, გარდა კურსისა „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“, რომელიც ძირითადად აგებულია ხელოვნური ნეირონული ქსელების სწავლებაზე, თუმცა საგნის სათაური გაცილებით ზოგადია და უნდა მოიცავდეს სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ძებნის ალგორითმები, ავტომატური მსჯელობა, ცოდნის წარმოდგენა, ბუნებრივი ენების დამუშავება და ა.შ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>• სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>• ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ დაკორექტირდეს საგნის „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“ სილაბუსი, სადაც ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან ერთად, ასევე აუცილებელია დაიფაროს ინფორმაციის მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის თემები. Windows Defender-ის თემატიკა გაერთიანდეს ანტივირუსულ საშუალებებთან.</li> <li>○ დაკორექტირდეს საგნის „ხელოვნური ინტელექტის სისტემები“ სილაბუსი და მასში შევიდეს დარგის სხვადასხვა აქტუალური საკითხი.</li> </ul>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სწავლის შედეგების შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ ჩართვას სათანადო პროექტებში. სილაბუსებში გათვალისწინებულია ლაბორატორიული სამუშაოები და სემინარები თითოეული კურსის აღწერა</p>

სტუდენტს აწვდის ინფორმაციას, თუ როგორ შეფასდება იგი.
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.</li> </ul>
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდებს ირჩევს ლექტორი თავისი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე. მათი მიზანია მაქსიმალურად ჩაერთოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. შესაბამისად სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები, როგორცაა ლექცია, სემინარი, ზეპირსიტყვიერი და წერითი მეთოდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია და ჯგუფური მუშაობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>○ სასწავლო კურსების სილაბუსები;</li> <li>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.</li> </ul>
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-



მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - არა უმეტეს 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა ფასდება - 40 ქულით.

აქტივობა ითვალისწინებს სტუდენტის ყოველკვირეულ შეფასებას, შეფასების მეთოდები და რუბრიკები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით. აღნიშნული ვიზიტის დროს დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა ასევე კურსდამთავრებულებმა.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შეფასების სისტემაში 2017 წლის სექტემბრიდან შევიდა ცვლილება და ნაცვლად ორი შუალედური გამოცდისა არის ერთი შუალედური გამოცდა რომელიც ტარდება მერვე კვირას და ფასდება 30 ქულით.

შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება ფორმალიზებული წესით მერვე და მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე კვირას და გულისხმობს წერით გამოცდას ან ტესტირებას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 20 ქულას, აქედან აქტივობის კომპონენტის შეფასება უნდა იყოს არანაკლებ 12 ქულისა. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 16 ქულით. სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში დააგროვებს 41-50 ქულას, აქვს უფლება დამატებით გამოცდაზე გავიდეს და გაიუმჯობესოს შეფასება. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:



- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიის მიერ ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დაცვის კომისია ნაშრომს აფასებს 100 ქულით. შეფასება არის კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადაამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები. მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება დასტურდება შესაბამისი ოქმის გაფორმებით, სამაგისტრო ნაშრომები ინახება 5 წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომ ექვემდებარება დაარქივებას უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით.

უნივერსიტეტში მაგისტრანტის დაცვაზე დამკვეთის წინაპირობაა თემის ხელმძღვანელის და ნაშრომის რეცენზენტის/ების დადებითი დასკვნები.

სამაგისტრო ნაშრომის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა და განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმებით:

- ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა, სარჩევი, დასკვნა, წარმოდგენილი ლიტერატურა და ვებ-რესურსები) – 10 ქულა;

- ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 60 ქულა:
  - თემის აქტუალობა - 15 ქულა
  - მეცნიერული სიახლე - 15 ქულა
  - შესრულების ხარისხი - 15 ქულა
  - შექმნილი პროექტი და პროგრამული რეალიზაცია - 15 ქულა
- ნაშრომის პრეზენტაცია - 30 ქულა;
  - ვერბალური მხარე - 10 ქულა;
  - ტექნიკური და ვიზუალური მხარე - 10 ქულა;
  - ექსპერტული შეფასებები - 10 ქულა.

ნაშრომის შეფასების მოცემული კრიტერიუმები შეიძლება დაზუსტებულ იქნას სპეციალიზირებული კომისიის მიერ უშუალოდ დაცვის წინ.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით. სტუდენტი სწავლების დაწყებისთანავე ინფორმირებულია სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის შესახებ, რასაც ყოველწლიურად ახორციელებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ვიზიტის დროს, ზემოაღნიშნული დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა ასევე კურსდამთავრებულებმა.

სტუდენტთა ობიექტური შეფასების, სანდოობის, ვალიდურობის და გამჭვირვალობის მიზნით ტარდება შემდეგი აქტივობები:

- სტუდენტის შეფასების სისტემა ასახულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამაში, ისე სილაბუსებში, ასევე ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- ლექტორი ვალდებულია სილაბუსის პრეზენტაცია მოახდინოს ჯგუფში პირველივე მეცადინეობაზე;
- სტუდენტთა შეფასების ობიექტურობას და სილაბუსთან რელევანტურობას პერიოდულად სწავლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელი, რომლებიც ახდენენ სტუდენტთა გამოკითხვას და წერითი ნაშრომების გადამოწმებას. უნივერსიტეტში არსებობს შეფასების აპელაციის მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, ნახოს მისი ნაშრომი და გაიგოს რატომ ვერ მიიღო მისთვის სასურველი ქულა. სტუდენტი აპელაციას აფიქსირებს ელექტრონულ დეკანატში, რომლის საფუძველზე შესაბამისი დეპარტამენტი გამოყოფს კომისიას და ერთობლივად ხდება ნაშრომის გადახედვა. ვიზიტის დროს, ზემოაღნიშნული დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა ასევე კურსდამთავრებულებმა.

სასწავლო კურსის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ეძლევათ სპეციალური კითხვარი შესავსებად, გამოკითხვას ატარებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების განვითარების და საკუთარი კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15

<p>ივლისის დადგენილება №38(20/21) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №9(17/18). გამოცდების აპელაციის წესის შესახებ.</li> <li>○ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;</li> </ul>
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პროცესში რეგულარულად ატარებს საკონსულტაციო შეხვედრებს მაგისტრანტებთან, სადაც ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და უნივერსიტეტში მიმდინარე ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ ინფორმირება. ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია უნივერსიტეტში განხორციელებადი ყველა პროგრამების შესახებ. სტუდენტებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ფაკულტეტზე ჩარიცხვის წესის, პროგრამის არჩევის, პროგრამის სტრუქტურის, არჩევითი კურსებისა და ა.შ. შესახებ), კონსულტაციასა და დახმარებას მისთვის საჭირო საკითხებზე აწვდიან ფაკულტეტის მდივანი, ჯგუფის კურატორები, ტუტორები, და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. ვიზიტის დროს, ზემოაღნიშნული დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა ასევე კურსდამთავრებულებმა.

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური. აღნიშნული სამსახური საქმიანობს შემდეგი მიმართულებებით: სტუდენტთა განცხადებების ელექტრონული მოძრაობის ორგანიზება; სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი; სტუდენტთა ტუტორინგი, ვიზიტის დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ტუტორები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესის მართვაში, სტუდენტების კონსულტირებაში. უნივერსიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც სისტემატიურად ზრუნავს ქსელის გაძლიერებაზე. ვიზიტის დროს, ზემოაღნიშნული დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა ასევე კურსდამთავრებულებმა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა eFlow, როგორც სტუდენტთა ინტერვიუდან ირკვევა აღნიშნულმა საგრძნობლად გაამარტივა და მოწესრიგებული გახადა სტუდენტთა მომსახურება. აწსუ-ში სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების სამსახურის საშუალებით, სტუდენტი მისთვის საჭირო ნებისმიერი საკითხის შესახებ იღებს მომსახურებას. სტუდენტთა შემოქმედებით, სპორტულ აქტივობებსა და დასვენების სერვისებს ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური თვითმმართველობა.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე [www.atsu.edu.ge], მუდმივად თავსდება ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, როგორცაა კონფერენციები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები და სხვ. სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე პირველკურსელებთან იმართება შეხვედრები, შეხვედრას მართავს უნივერსიტეტის რექტორი, სასწავლო პროცესის მართვის ხელშეწყობის სამსახურების - ბიბლიოთეკის, საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურების და ელექტრონული სერვისებით მომსახურების ხელმძღვანელები.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს კორპორაციული ელ-ფოსტა [www.mail.atsu.edu.ge](mailto:www.mail.atsu.edu.ge), სადაც პირველი კურსის სტუდენტს ჩარიცხვისთანავე არეგისტრირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური. კორპორაციული ელ-ფოსტის საშუალებით სტუდენტებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურებიდან მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონულად გაეცნონ მათ მიერ არჩეულ პროგრამას, პედაგოგებს, სასწავლო და საგამოცდო ცხრილს, სასწავლო ბარათს აკადემიური მოსწრების შესახებ, აირჩიონ არჩევითი და ასათვისებელი სასწავლო კურსები და მოახდინონ მათთვის არასასურველი

შეფასების აპელაცია. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებთან ინდივიდუალურ მუშაობას, რომელიც წარმოებს კონსულტაციების ფორმატით. სასწავლო პროცესის დაწყებისას სასწავლო კურსის განმახორციელებელი პედაგოგი, პირველივე შეხვედრაზე ჯგუფს აცნობს კონსულტაციის კონკრეტულ დროს, რომელიც ასახულია სილაბუსში და მიეწოდება სტუდენტებს. გარდა აღნიშნულისა, სტუდენტი კონსულტაციისთვის მიმართავს ლექტორს კორპორაციული ელ-ფოსტით.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი, აღნიშნული სტრუქტურა ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურასა და სპორტთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას; ვიზიტზე ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული სამსახური სისტემატიურად მართავს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულს ღონისძიებებს.

უნივერსიტეტი მეტი კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურად ქსელს, სადაც სისტემატიურად ავრცელებს ინფორმაციას დაგეგმილი თუ ჩატარებული ღონისძიებების და კონკურსებში მიღწეული წარმატებების შესახებ. აწსუ-ში 2014 წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციებია შრომის ბაზარზე ვაკანსიების მუდმივი მონიტორინგი და ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისთვის, პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვა ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა და ორგანიზება, დამსაქმებლებთან ერთად სხვადასხვა წამახალისებელ თუ საინფორმაციო ღონისძიებების, შეხვედრების მოწყობა სტუდენტთა და დამსაქმებელთა დაახლოებისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური ტრენინგ-კურსების ორგანიზება კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმების ხელშეწყობა, სტუდენტთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობი სემინარების ჩატარება (CV-ის შედგენა, სამოტივაციო წერილის დაწერა, გასაუბრებისათვის მოსამზადებელ კონსულტაცია). აღსანიშნავია აწსუ-ში შექმნილი ვაკანსიების ერთიანი პორტალი (<https://job.atsu.edu.ge/>), რომელიც როგორც სტუდენტებიდან და კურსდამთავრებულებიდან ინტერვიუდან გაირკვა მათთვის მოსახერხებელი და მარტივი პლატფორმაა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები
- თვითშეფასების ანგარიში
  - სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური <https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info>
  - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა <https://atsu.edu.ge/index.php/carrier-development-info>
  - <http://edean.atsu.edu.ge>
  - <https://job.atsu.edu.ge/>
  - გამოკითხვის შედეგები;
  - ინტერვიუები და ინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:  
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდეს კვალიფიკაციის მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ - ახლა ტარდება 2 წლის თავზე

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ვაკანსიების ერთიანი პორტალი (<https://job.atu.edu.ge/>), რომელიც როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუდან გაირკვა მათთვის მოსახერხებელი და მარტივი პლატფორმაა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)  
-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე სწავლის მეოთხე სემესტრი ეთმობა სამეცნიერო მუშაობას და ის გულისხმობს სამაგისტრო დისერტაციის მომზადებას. დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში თითოეულ მაგისტრს, მისი სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებით, გამოეყოფა შესაბამისი მიმართულების კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი ( მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რაც აისახება შესაბამის ოქმში (დეპარტამენტის სხდომა).) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, თემატიკას და რეცენზენტებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის რექტორი. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც (კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე). ერთმა პირმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს.

სამაგისტრო თემის არჩევის და დამტკიცების პროცედურა რეგულირდება „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსის საფუძველზე, სადაც გაწერილია დეტალური ინფორმაცია: სამაგისტრო თემატიკის დამტკიცების, მაგისტრანტის მიერ თემის არჩევის, ხელმძღვანელის გამოყოფის და დამტკიცების შესახებ. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელი უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს მაგისტრანტს: ეხმარება არჩეული საკვლევი თემის შესრულების პროცესის დაგეგმვაში, აძლევს რჩევებს და მითითებებს კვლევის პროცესთან დაკავშირებით, უწევს კონსულტაციებს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად, ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს კორექტივები, ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს შესაბამის დასკვნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- o აწესი აკადემიური საბჭოს დადგენილება N 38 (20/21) 15 ივლისი 2021 წ.
- o სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების გზამკვლევი.
- o პერსონალის მონაცემები;
- o დაცული სამაგისტრო დისერტაციები;
- o ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.



რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია 3 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 1 მოწვეული ლექტორი. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული სტატიები (თუმცა ძირითადად ადგილობრივ ჟურნალებსა და კონფერენციების მასალებში), მათი მონაწილეობა ძირითადად ადგილობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში.</p> <p>პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია საკმარისია პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის, თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის სასურველია პროგრამაში ჩაერთოს უფრო მეტი დარგის პრაქტიკოსი, ახალგაზრდა სპეციალისტი, განსაკუთრებით პრაქტიკულ საგნებში, რომლებიც სტუდენტებს გააცნობენ რეალურ და ახალ-ახალ პრაქტიკულ გამოწვევებს.</p> <p>პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს შეუძლია მაგისტრანტებისათვის კომპეტენტური ხელმძღვანელობის გაწევა სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 40 წლიანი გამოცდილება. მას კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და 10-მდე სახელმძღვანელო.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში.</p> <p>უნივერსიტეტში მუშაობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ პერსონალის მონაცემები;</li> <li>○ პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები;</li> <li>○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;</li> <li>○ აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები;</li> <li>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამაში ჩაერთოს უფრო მეტი დარგის პრაქტიკოსი, ახალგაზრდა სპეციალისტი, განსაკუთრებით პრაქტიკულ საგნებში, რომლებიც სტუდენტებს გააცნობენ რეალურ და ახალ-ახალ პრაქტიკულ გამოწვევებს.</li> </ul>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p> <p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების პოლიტიკა, რომლითაც ფასდება პერსონალის კომპეტენცია და დგინდება დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აგრეთვე ხდება აკადემიური პერსონალის სამომავლო საჭიროებების დადგენა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო თუ საფაკულტეტო დონეზე რეგულარულად ცხადდება შიდა სამეცნიერო გრანტები, რომელიც ამჟამად მოპოვებული აქვს ამ პროგრამაში ჩართულ რამდენიმე პროფესორს.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია მათი მონაწილეობა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თაოსნობით რეგულარულად, ყოველ ორ წელიწადში, ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინტერნეტი და საზოგადოება“ (<a href="https://inso.ge/">https://inso.ge/</a>), რომლის მუშაობაშიც აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთის უნივერსიტეტების პროფესორა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ პერსონალის მონაცემები;</li> <li>○ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებები პერსონალის ატესტაციის შესახებ;</li> <li>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან;</li> <li>○ სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „ინტერნეტი და საზოგადოება“ მასალები. <a href="https://inso.ge/">https://inso.ge/</a></li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>4.3 მატერიალური რესურსი</b></p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური</p>
---

<p>აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კერძოდ, უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი, მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსები, სხვადასხვა დანიშნულების ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით), და საკონფერენციო დარბაზები.</p> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა სპეციალიზირებულ ელექტრონულ ბაზებთან თუ ბიბლიოთეკებთან, რომელზე წვდომაც აქვთ სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისევე სახლის პირობებში. ამ ბაზებში ხელმისაწვდომია თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია სალექციო კურსის მომზადების დროს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;</li> <li>○ ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნა სამაგისტრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ საკმაოდ დეტალური ბიუჯეტი, სადაც გაწერილია პროგრამასთან დაკავშირებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხარჯები, დაწყებული აკადემიური პერსონალის ხელფასით, დამთავრებული კომუნარული გადასახადებით.</p> <p>წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნული იყო სხვადასხვა თანხები, თუმცა ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას ეს რიცხვები დაზუსტდა</p>

და გარიკვა, რომ პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა არის 14. იქვე დაზუსტდა, რომ ნაკლები სტუდენტის შემთხვევაში ხდება პროგრამის დაფინანსება სარეზერვო ფონდიდან და პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ექმნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს როგორც ინსტიტუციურ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიდგომების, ისე უშუალოდ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე განმსაზღვრელი დოკუმენტი, კერძოდ:

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (იხ.: <http://www.atsu.edu.ge/quality/QA-Conception.pdf>) - აერთიანებს ხარისხის პოლიტიკებს (საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA: კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA; მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA), პროცედურებს და ინსტრუქციებს/წესებს/სხვ. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სამივე პოლიტიკის განსახორციელებლად უნივერსალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურა (ME-QA 3.1), რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA) მიზნად ისახავს შედეგზე ორიენტირებული პროგრამების შექმნისა და განვითარების, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის, სტუდენტური სერვისების მიწოდების, სტუდენტების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ძირითადი კომპეტენციების მქონე სპეციალისტებად ჩამოყალიბების, შემდგომი დასაქმებისა და სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატებული ადაპტაციის ხელშეწყობას. დოკუმენტით დეკლარირებული პოლიტიკა ხორციელდება 3 პროცედურის საშუალებით:

- 1) პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1)- აღგენს ახალი პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების წესებს, ძირითად მოთხოვნებს, პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს და სხვ. დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურებს, წესებს, ეტაპებს (ფაზებს) და ვადებს, ამ პროცესში ჩართულ პირებს და სხვ. დოკუმენტის დანართებია „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია“ (არეგულირებს შემდეგ საკითხებს: 1. კურიკულუმის სტრუქტურა; 2. პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით; 4. სწავლების ენა; 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; 6. პროგრამის ანალოგები; 6. პროგრამის მიზანი; 8. სწავლის შედეგი; 9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; 10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; 11. სასწავლო გეგმა; 12. სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა; 13. ადამიანური რესურსები) და სხვადასხვა ფორმები (მაგ., საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა; საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა; კურიკულუმის ფორმა; პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა; სილაბუსის ფორმა).
- 2) პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) - აღწერს პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ლონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორებს და კრიტერიუმებს. მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- 3) მოქმედი პროგრამის განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3) - განსაზღვრავს მოქმედი პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, პროცედურის განხორციელების ფაზების, ვადებს და აქტივობებს, მათი განხორციელების გზებსა



და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოებს და სხვ.

კავშირს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკებს და პროცესებს შორის, ასევე შეფასების პროცესში გამოსაყენებელ ფორმებს ადგენს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცედურები და დანართები“ (<http://www.atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/quality-regulations>).

თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი მასალებით და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით დგინდება, რომ ზემოთ მითითებული დოკუმენტის შესაბამისად განხორციელდა აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის ინიცირება, პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნა და ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება. სამუშაო პროცესში შესწავლილ იქნა პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტები, მათ შორის პროგრამის შინაარსობრივი საკითხები, რესურსებით უზრუნველყოფა (მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსები), ავტორიზებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელებით მიღებული შედეგები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებები, პროგრამის შესაბამის სფეროსში შრომის და განათლების ბაზარზე არსებული ტენდენციები და სხვ. ამავე პერიოდში განხორციელდა: კურიკულუმის რუკის ანალიზი, პროგრამის მიზნების, შედეგებისა და მათ ფორმირებაში მონაწილე პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ურთიერთშესაბამისობის დადგენა, უცხოეთის უსდ-ების ანალოგიური პროგრამების შესწავლა, შემუშავებული პროგრამის შიდა და გარე შეფასება. დასრულებული პროგრამის პროექტი განიხილა და დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ.

ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები (მაგ., გაერთიანდა სასწავლო კურსები „ფუნდამენტური ალგორითმები-1“ და „ფუნდამენტური ალგორითმები-2“ და დაერქვა „ფუნდამენტური ალგორითმები“; სასწავლო კურსი „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია“ შეიცვალა კურსით „პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა“. ასევე, არჩევითი სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ შეიცვალა კურსით „კომპიუტერული სისტემების წარმადობა და ფუნქციონალური საიმედოობა“; სავალდებულო გახდა სასწავლო კურსები „მათემატიკური მოდელირება“, „საოპერაციო სისტემები“ და „ინფორმაციის თეორია“. ასევე, პროგრამას დაემატა სავალდებულო კურსები „NET პლატფორმაზე დაფუძნებული დეველოპმენტი“ და „მრავალკრიტერიუმებიანი გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდები“ და სხვ.). ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე, პროგრამის განმახორციელებელმა - მათ მიერ შემუშავებული კურსების თავისებურებებზე და გათვალისწინებულ საუკეთესო პრაქტიკებზე, დამსაქმებლებმა კი აღნიშნეს პროგრამის აქტუალობა და მათ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სხვადასხვა ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა მიმდინარე პროცესებში უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აქტიური ჩართულობა: თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჯგუფს კონსულტირებას უწევდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის განმახორციელებელმა კი დაადასტურეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან ყოველთვის აქვთ სათანადო კონსულტირება და მხარდაჭერა, მათ შორის სასარგებლო განმავითარებელი ტრენინგების (მაგ., სწავლა-სწავლების მეთოდებში) ორგანიზებისა და სხვადასხვა ინსტრუქციების შემუშავების ფორმით. ერთ-ერთ ასეთ ინსტრუქციას წარმოადგენს „შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი“ (<http://www.atsu.edu.ge/images/pdf/gzamkvlevi.pdf>).

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს რელევანტური თეორიული საფუძვლები და აგებულია გამჭვირვალობის, ანგარიშგების და პროცედურების დოკუმენტირების პრინციპებზე, რაც ქმნის სხვადასხვა პერიოდში მიღებულ შედეგებზე სისტემატური დაკვირვების, დადარებისა და მათი ანალიზის შესაძლებლობას (დასტურდება დოკუმენტურად, მოქმედი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით);
- პროგრამის განვითარება გულისხმობს კომპლექსური მიდგომების გამოყენებას, კერძოდ: პროგრამისთვის მნიშვნელოვანი საკითხის, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების და პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული შედეგების შესწავლა, პროგრამის შიდა და გარე შეფასებას გათვალისწინება, გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირება და ცვლილებების განხორციელება. (დასტურდება დოკუმენტურად და ინტერვიუს შედეგებით).
- პროგრამის შეფასება და მოდიფიცირება განხორციელდა უნივერსიტეტში არსებული მარეგულირებელი წესების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის მიერ გამჭვირვალედ, კომპლექსურად დგინდება როგორ მიმდინარეობდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესი, ვინ იყო ჩართული ამ პროცესში, რა საკითხების გადაჭრაზე მიმდინარეობდა მუშაობა და სხვ., რამაც უზრუნველყო ამ პროცესების და შედეგების შესახებ ინფორმირების მაღალი ხარისხი. (დასტურდება დოკუმენტურად და ინტერვიუს შედეგებით).
- პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტირებით და მხარდაჭერით, მათ შორის სასარგებლო განმავითარებელი ტრენინგების (მაგ., სწავლა-სწავლების მეთოდებში) ორგანიზებისა და სხვადასხვა ინსტრუქციების შემუშავების ფორმით. (დასტურდება დოკუმენტურად და ინტერვიუს შედეგებით);
- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა არის საჯარო და გამჭვირვალე - უნივერსიტეტის ვებგვერდის (<http://www.atsu.edu.ge/index.php/qas-reports>) მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს როგორც ამ საკითხების მომწესრიგებელ დოკუმენტებს, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას (დასტურდება ინტერვიუს შედეგებით და უნივერსიტეტის ვებგვერდის დათვალიერებით).

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (<http://www.atsu.edu.ge/quality/QA-Conception.pdf>; დათვალიერების თარიღი: 01.07.2022);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების პოლიტიკებში ცვლილებების შეტანის შესახებ (დადგენილებები: №39(20/21), 15.07.2021; №8(21/22), 09.11.2021);
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი (EP-QA 1.1) და თანდართული ფორმები: საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა (1-EP-QA 1.1.); უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოვალეობები (2-EP-QA 1.1.); საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა (3-EP-QA 1.1); კურიკულუმის ფორმა (4.1-EP-QA 1.1); პროგრამის სასწავლო

<p>გეგმის ფორმა (4.2-EP-QA 1.1); სილაბუსის ფორმა (4.3-EP-QA 1.1); უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (4-EP-QA 1.1);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) და თანდართული ფორმები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);</li> <li>○ მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);</li> <li>○ დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“;</li> <li>○ მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა (ME-QA-3.2);</li> <li>○ კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);</li> <li>○ თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა (ME-QA-3.1) და თანდართული ფორმები: საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის სტრუქტურა (1-ME-QA 3.1.); დეპარტამენტის წლიური ანგარიშის სტრუქტურა (2-ME-QA 3.1.); ფაკულტეტის წლიური ანგარიშის სტრუქტურა (3-ME-QA 3.1.); აწსუ-ს სამსახურების წლიური ანგარიშის სტრუქტურა (4-ME-QA 3.1.);</li> <li>○ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი (აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2017);</li> <li>○ შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა (კომპიუტერული მეცნიერებები);</li> <li>○ პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთება; პროგრამის ბიუჯეტი;</li> <li>○ პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება (2018-2019, 2019-2020 (I, II), 2020-2021 (I, II), 2021-2022);</li> <li>○ აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები (11. 2017; 12.2018-01.2019);</li> <li>○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (18 რესოიდენტი); კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგები;</li> <li>○ სტუდენტთა გამოკითხვები (სუდენტთა ჩართულობის და კმაყოფილების კვლევა - 12.2017-01.2018; ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება - 2020; 2021-2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (გამოკითხვა, ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასება) - I, III სემესტრები);</li> <li>○ პროგრამის გარე შეფასება;</li> <li>○ პროგრამის შიდა ექსპერტის შეფასება;</li> <li>○ ანალოგი პროგრამების ანალიზი (დამატებით წარმოდგენილი);</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (<a href="http://www.atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa">http://www.atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa</a>); დათვალიერების თარიღი: 01.07.2022);</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები 2015-2020 (<a href="http://www.atsu.edu.ge/index.php/qas-reports">http://www.atsu.edu.ge/index.php/qas-reports</a>; დათვალიერების თარიღი: 01.07.2022);</li> <li>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშები (2012-2019);</li> <li>○ შევსებული დანართი 3-QA 1.1 - „საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა“ (დამატებით წარმოდგენილი);</li> <li>○ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2020-2021 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ანგარიში (დამატებით წარმოდგენილი).</li> </ul>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს გარე შეფასება. აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში გარე შეფასება განხორციელდა 2012 წელს, ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში - 2018 წელს. დღეისათვის პროგრამა ხორციელდება ავტორიზებულ რეჟიმში (აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი: 01.07.2021 წელი). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ავტორიზაციის პროცესში მიღებული ისეთი რეკომენდაციების შესრულების საკითხს, რომლებიც გარკვეულწილად დაკავშირებულია აკრედიტაციის სტანდარტებთან, მაგ., პროგრამების მოდიფიცირება და განახლება მუდმივად ცვალებადი გარემოს მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სტუდენტების უფლებებთან და ეთიკისა და კეთილსინდისიერების კოდექსთან დაკავშირებით ინფორმირება, სტუდენტური სერვისები, სტუდენტების და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერა, პერსონალის განვითარების ხელშეწყობა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით მიღებული შედეგები დაადასტურეს და დადებითად შეაფასეს ინტერვიუში მონაწილე პროგრამის პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამა დაექვემდებარა გარე შეფასებას, რაც მოიაზრებს პროგრამის გარე შეფასებას უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის და უნივერსიტეტთან არააფილირებული დარგის სპეციალისტის (საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს პროფესორმა) მიერ. გარე შეფასების ფარგლებში მოხდა პროგრამის დეტალური განხილვა, პროგრამის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე ყურადღების გამახვილება, რაც აისახა პროგრამის სრულყოფის მიზნით გაცემულ რეკომენდაციებში (შეფასების შედეგები ასახულია ოფიციალური დასკვნების სახით). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, რეკომენდაციები მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი პროგრამით (კურიკულუმი, პროგრამის სასწავლო გეგმა, სილაბუსები). აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტთან არააფილირებულმა გარე შემფასებელმა დასკვნაში მიუთითა, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და იმსახურებს დადებით დასკვნას. ანალოგიური პოზიცია დააფიქსირეს ინტერვიუში მონაწილე პროგრამის კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა თავისი შინაარსით პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს და იმსახურებს დადებით შეფასებას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამა (კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, სილაბუსები);</li> <li>○ გარე შეფასებების დასკვნები (პროგრამაზე გამოხმაურების წერილი);</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>



რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პოლიტიკის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უნივერსალურ ინსტრუმენტს წარადგენს თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურა (ME-QA 3.1), რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მექანიზმის გამოყენებას ადასტურებს: 1) უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<a href="http://www.atsu.edu.ge/index.php/qas-reports">http://www.atsu.edu.ge/index.php/qas-reports</a>) განთავსებული აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშები 2018, 2020 და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2015-2020), რომლებიც მოიცავენ ინსტიტუციის დონეზე განხორციელებული აქტივობების მიმოხილვას; 2) პროგრამის თვითშეფასების ანგარიშები (2012-2016, 2019).</p> <p>უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი რეგულირდება „მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურით“ (EP-QA 1.3), რომელიც გამოიყენება პროგრამების შეფასების, განახლებისა და განვითარებისათვის. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია პროცედურის ეტაპები (ფაზები) და მათი დასრულების ვადები, ასე მაგ.: 1) პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების განსაზღვრის (იდენტიფიცირების) ფაზა უნდა დასრულდეს 15 ივნისამდე (ცვლილებების შემთხვევაში); 2) პროგრამის განვითარებისათვის საჭირო საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების შემუშავების ფაზა უნდა დასრულდეს 1 ივლისამდე (ცვლილებების შემთხვევაში); 3) პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების განხილვის და დამტკიცების ფაზა უნდა დასრულდეს 20 ივლისამდე (ცვლილებების შემთხვევაში). პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს/ ცვლილებებს განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უწყვეტი განათლების ცენტრთან და წარუდგენს პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების კონკრეტულ ჩამონათვალს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს პროგრამის შეფასების შედეგებით, მათზე დაყრდნობით განიხილავს პროგრამის</p>
--

ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ღონისძიებების/ცვლილებების შედეგებს. აღნიშნულზე დაყრდნობით მტკიცდება პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების კონკრეტული ჩამონათვალი. ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვების ჩატარებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც, ასევე, ადგენს კითხვარებს, შეისწავლის გამოკითხვის შედეგებს და ანალიზს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს.

აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისთვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2020-2021 წლის ანგარიშის თანახმად, მიმდინარეობდა შეხვედრები აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად მოსამზადებლად. სასწავლო წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა დეპარტამენტების ხელმძღვანელთა მიერ მოწოდებული სასწავლო დატვირთვების სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის საკითხი და განხორციელდა პროგრამის სასწავლო გეგმის გრაფიკის ფორმებში ასახვა და სასწავლო-მეთოდური განყოფილებისთვის მიწოდება. სტუდენტების მიერ პროგრამის შეფასების (EP-QA 1.2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა), პრობლემების დროული იდენტიფიცირების, საუნივერსიტეტო მმართველობის, სტუდენტური დასაქმების შესახებ სტუდენტთა აზრის შესწავლის მიზნით, ორჯერ ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა. მომზადდა გამოკითხვის ანალიზი, რომლებიც გაეგზავნა ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
- შეფასდა და „საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმაში“ აისახა პროგრამის საკვანძო პარამეტრები და რესურსები და ფაქტობრივი მაჩვენებლები;
- სისტემატურად ხორციელდებოდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლი (2018-2019 - გაზაფხულის სემესტრი; 2019-2020 - შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები; 2020-2021 შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრები 2021-2022 - შემოდგომის სემესტრი);
- ჩატარდა: 1) აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებსა და ჩართულობის კვლევა (2017, 12.2018-01.2019); 2) სტუდენტების გამოკითხვები (მაგ., სტუდენტების ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევა, 12.2017-01.2018; ელექტრონული სწავლებით კმაყოფილების კვლევა, 2020). 2021-2022 სასწავლო წლის სტუდენტთა გამოკითხვის (მათ შორის, სასწავლო პროცესის და ლექტორების შეფასების) შედეგები წარმოდგენილია ციფრული მონაცემების მონაცემების და ანალიზი დოკუმენტის ფორმით; 3) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (სულ: 18 რესპოდენტი). შესწავლილ იქნა კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები და მიღებული განათლებით კმაყოფილება.
- განხორციელდა შრომის და განათლების ბაზრის კვლევა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარდა უკვე მოქმედი მექანიზმებისა, შემუშავებულია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი - პროგრამის თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის დადგენა და მათთან მიღებული შედეგის დადარება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება პროგრამის მთლიანი ციკლის (2 წელი) დასრულების შემდეგ, ხოლო ყოველწლიურ შესწავლას და რეაგირებას დაექვემდებარება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.



პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, შესწავლილ იქნა უცხოეთია რამდენიმე უსდ-ს ანალოგი პროგრამები, კერძოდ: რენეს უნივერსიტეტი, რენე, საფრანგეთი (<https://www.insa-rennes.fr/>), ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი, იაში, რუმინეთი (<https://www.uaic.ro/en/>), სან დიეგოს უნივერსიტეტი, კალიფორნია, აშშ (<https://www.sdsu.edu/>). დადარების შედეგები ასახულია ანალოგი პროგრამების ანალიზის დოკუმენტში, რომლის თანახმად, ამ პროგრამებთან თავსებადობა შემდეგნაირია: რენეს უნივერსიტეტი - 15 ძირითადი სასწავლო კურსიდან თანხვედრაა 13 კურსთან, 8 არჩევითი კურსიდან 6 კურსთან, საერთო ჯამში თანხვედრა შეადგენს 82%-ს; ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი - 15 ძირითადი სასწავლო კურსიდან თანხვედრაა 12 კურსთან, 8 არჩევითი კურსიდან 6 კურსთან, საერთო ჯამში თანხვედრა შეადგენს 78%-ს; სან დიეგოს უნივერსიტეტი - 15 ძირითადი სასწავლო კურსიდან თანხვედრაა 10 კურსთან, 8 არჩევითი კურსიდან 4 კურსთან, საერთო ჯამში თანხვედრა შეადგენს 61%-ს. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა ისაუბრეს გათვალისწინებული ასპექტების შესახებ და აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარების პროცესში გაიზრდება შესწავლილი უცხოეთის პროგრამების რაოდენობა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ეტაპობრივად იწერება უცხოეთის პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ სამაგისტრო პროგრამების შეფასების მექანიზმი (დღეისათვის ეს მექანიზმი მოქმედებს დოქტორანტურის პროგრამების შემთხვევაში), რაც გაზრდის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს პროგრამის შემდგომ განვითარებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (<http://www.atsu.edu.ge/quality/QA-Conception.pdf>; დათვალიერების თარიღი: 01.07.2022);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) და თანდართული ფორმები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);
- დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“;
- თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა (ME-QA-3.1) და თანდართული ფორმები: საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის სტრუქტურა (1-ME-QA 3.1.); დეპარტამენტის წლიური ანგარიშის სტრუქტურა (2-ME-QA 3.1.); ფაკულტეტის წლიური ანგარიშის სტრუქტურა (3-ME-QA 3.1.); აწსუ-ს სამსახურების წლიური ანგარიშის სტრუქტურა (4-ME-QA 3.1.);
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი (აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2017);
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა (კომპიუტერული მეცნიერებები);
- პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრება (2018-2019, 2019-2020 (I, II), 2020-2021 (I, II), 2021-2022);
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები (11. 2017; 12.2018-01.2019);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვები (სტუდენტთა ჩართულობის და კმაყოფილების კვლევა - 12.2017-01.2018; ელექტრონული სწავლებით კმაყოფილება - 2020; 2021-2022 სასწავლო

<p>წლის საშემოდგომო სე-მეს-ტრის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა (გამოკითხვა, ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასება) - I, III სემესტრები);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ანალოგი პროგრამების ანალიზი (დამატებით წარმოდგენილი);</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (<a href="http://www.atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa">http://www.atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa</a>; დათვალიერების თარიღი: 01.07.2022);</li> <li>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები 2015-2020 (<a href="http://www.atsu.edu.ge/index.php/qas-reports">http://www.atsu.edu.ge/index.php/qas-reports</a>; დათვალიერების თარიღი: 01.07.2022);</li> <li>○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშები (2012-2019);</li> <li>○ შევსებული დანართი 3-QA 1.1 - „საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა“ (დამატებით წარმოდგენილი);</li> <li>○ უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი <a href="http://www.atsu.edu.ge/">http://www.atsu.edu.ge/</a></li> <li>○ ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„კომპიუტერული მეცნიერება“, მაგისტრატურა

დასკვნის პროექტის გვერდების რაოდენობა: 35

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის](#)

სახელი, გვარი, ხელმოწერა

Digitally signed  
by Mikheil  
Rukhaia

მიხეილ რუხაია

[აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ\(ებ\)ის](#)

სახელი, გვარი, ხელმოწერა

მაქსიმ იავირ

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა

შალვა მესხი